

ლელა ოჩიაური

სრული პროფესორი.

კინომცოდნე. ფილოსოფიის დოქტორი.
დამთავრებული აქვს თბილისის სამხატვრო აკადემიის ხელოვნებათცოდნეობის ფაკულტეტი. გაიარა სტაჟირება მოსკოვის კინოს ისტორიისა და თეორიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, ირინა შილოვას ხელმძღვანელობით. 1982 წლიდან მუშაობს თეატრისა და კინოს უნივერსიტეტში, კინოს სამეცნიერო-კვლევით სექტორში (მის გაუქმებამდე) და პარალელურად, ამავე წლიდან დღემდე კითხულობს ლექციებს - კინოს თეორიასა და კრიტიკაში, კინოს ისტორიასა და ჟურნალისტიკაში.

1990 წლიდან 2003 წლის ჩათვალთ, იყო გადაცემა «ტელე-სინე-ვიდეოს» ჯერ ავტორი და წამყვანი, შემდეგ კონსულტანტი. 1999 წლიდან დღემდე ბათუმის უნივერსიტეტის მიწვეული პედაგოგია. 1996 წლიდან დღემდე გაზეთის «რეზონანსის» კულტურის რედაქტორი და მიმომხილველია. თანამშრომლობს ჟურნალებთან «კრიტიკა», «ჩვენი მწერლობა», «სახელები», «ამარტა», «ფოკუსი», «ლაინი».

2005 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე -»პოეტური ტენდენციები 60-70-იანი წლების ქართულ კინოში». სამეცნიერო კვლევის ძირითადი საკითხებია - 60-80-იანი წლების ქართული და ევროპული კინო, უახლესი კინოპროცესები, მითოლოგიური ასპექტები და ეროვნულის ცნება კულტურაში და სხვა.